ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

ა.(ა).ი.პ. „ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და
სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“

№ 259

10 დეკემბერი 2024 წელი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს
გიორგი წიკლაურს

ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“-ს წესდების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თეთრიწყაროს მუნიციპალიოტეტის მერისათვის წარსადგენი 2024 წლის

წლიური ანგარიში

ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“-ს

2024 წლის ანგარიში

ცენტრის დირექტორი: ფიქრია მეშველიანი

შესავალი:

აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ 2024 წლის საქმიანობის შეჯამება. დოკუმენტს აქვს ოთხი თავი. პირველ თავში მოცემულია ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობები სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით. მეორე თავი მოიცავს სოციალურად დაუცველთა სასადილოს მიერ ჩატარებული ღონისძიებების გახილვას. მესმე თავში მოცემულია, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ დასაქმებულთა შესახებ ინფორმაცია. ხოლო მეოთხე თავში მოცემულია, ბავშვთა ადრეული განვითარების ინტერვენციის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები.

ზოგადი მიმოხილვა

- ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“ -ს შემადგენლობაში შედის: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 16 საბავშვო ბაღი და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში და ქ.თეთრიწყაროში მცხოვრები სოციალურად დაუცველთა ბენეფიციარების სასადილოს სამსახური.
- ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრ“ -ს გააჩნია თავისი ადმინისტრაციული შენობა, ქ.თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ.N13.
- სამსახურს შექმნილი აქვს შინაგანაწესი, როგორც საბავშვო ბაღების სამსახურისა და სასადილოს სამსახურისთვის ასევე ადმინისტრაციისთვის.
- ცენტრი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით.
- გვაქვს Facebook- გვერდი, რომელიც აქტიურად ფუნქციონირებს და აშუქებს ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“-ს დაწესებულებების მიერ განხორციელებულ აქტივობებს.
- ცენტრის დირექტორის მიერ, ბრძანებით ჩამოყალიბებულია შესაბამისი კომისიები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით ანხორციელებენ მონიტორინგს ცენტრის დაწესებულებებში. აღნიშნული კომისიებია:

1) სატენდერო კომისია
2) ინვენტარიზაციის კომისია
3) სანიტარულ-ჰიგიენური შემოწმების კომისია
4) ნარჩენი პროდუქტების ჩამოწერის კომისია
5) ნაშთების მოულოდნელი შემოწმების კომისია
6) მეთოდოლოგიური კომისია

თითოეულ კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე და არჩეული კომისიის წევრები. თავმჯდომარე ხელმძღვანელობს შედგენილი და დირექტორის მიერ დამტკიცებული რეგლამენტით.

- ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“-ს 2024 წლის სრული ბიუჯეტი შეადგენს - 5231796 ლარს, აქედან ბაღების სამსახურის და ადმინისტრაციის ბიუჯეტია - 4595862 ლარი და სოციალურად დაუცველთა სასადილოს სამსახურის - 635934 ლარს.
  საიდანაც ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი მოხმარდა შრომის ანაზღაურებას, შტატგარეშე მომსახურეთა ანაზღაურებას, კომუნალურ გადასახადებს (ელექტრო ენერგია, გათბობა, ბუნებრივი აირის ხარჯი), რეცხვა-

ქიმწმენდა, სანიტარულ-ჰიგიენურ საშუალებებს, კვების, სამედიცინოს, წყლის ექსპერტიზის და შემოწმების, კავშირგაბმულობის (ინტერნეტი), შტრიხ-კოდის წასაკითხი სკანერის შეძენის, საწვავი და საპოხი მასალები, სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების მოვლა- შენახვის და ტრანსპორტის დაქირავების ბავშვთა გადაყვანის ხარჯი, და სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებს. მათ შორის შეძენილია საკანცელარიო ნივთები, ქაღალდები, კატრიჯები და სხვადასხვა ანალოგიური მასალები, რომლებიც გამოიყენება საბავშვო ბაღებისათვის, ასევე ადმინისტრაციის და სასადილოს სამსახურისათვის. საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის, შეძენილია სპეციალური ლიტერატურა აღსაზრდელებისათვის, სათამაშოები.
შესყიდულ იქნა, ახლად გახსნილი საბავშვო ბაღებისათვის (ფარცხისა და წინწყაროში) და სასადილოს სამსახურისათვის საოფისე ავეჯი, კომპიუტერები, მაცივრები, პრინტერები.

- ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“-ს შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი ახორციელებს ელექტრონულ ტენდერებს; გადაუდებელი აუცილებლობის გზით დადებულ ხელშეკრულებებს; გამარტივებულ და კონსოლიდირებულ შესყიდვებს; შესყიდვების გზით შეძენილი პროდუქტი მიიღება ადმინისტრაციის ცენტრის საწყობში, საიდანაც ხდება მისი რაციონალური განაწილება და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გაცემა. აღნიშნულ პროცესს არეგულირებს საწყობის მნე.
- ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“ ახორციელებს ვიდეო-მონიტორინგს საბავშვო ბაღებში (სოფ,კოდის, დაბა მანგლისის, ქ.თეთრიწყაროს N1 და N2 საბავშვო ბაღებში) და სოციალურად დაუცველთა სასადილოში. ასევე 2024 წელს მოხდა ყველა საბავშვო ბაღის ინტერნეტიზაცია.
- დოკუმენტაციის კონტროლს აწარმოებს კანცელარიის თანამშრომელი. სადაც ინახება დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები, შემოსული და გაგზავნილი წერილები. ადმინისტრაციაში თანამშრომლებს შორის ინფორმაციის გაზიარება/გაგზავნა ხდება ელექტრონულ მისამართებზე, ანალოგიურად გადასაგზავნი და შემოსული წერილებიც. შემუშავებულია შესაბამისი ფორმები, განცხადების და მოხსენებითი ბარათებისა. აღნიშნულზე ვიზირებას ახდენს დირექტორი და გადასცემს შესაბამის სამსახურს შესასრულებლად.

- 2024 წლის ბოლოს ა.ა.ი.პ „სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრში“ დასაქმებული იყო 262 თანამშრომელი , მათ შორის:

ადმინისტრაციაში - 28
ბაღებში- 205
სასადილოში- 15
შტატგარეშე- 14
სულ- 262

დღეის მდგომარეობით ცენტრში დასაქმებულია 307 თანამშრომელი, მათ შორის:

ადმინისტრაციაში- 38
ბაღებში- 235
სასადილოში- 16
შტატგარეშე- 18
სულ- 307

საშტატო ერთეულების ზრდა ძირითადში გამოწვეულია იმით, რომ მ/წელს წინწყაროს საბ.ბაღი გადავიდა ახალ შენობაში, დაწესდა ორ ცვლიანობის რეჟიმი და დაემატა ახალი საშტატო ერთეულები.

- ცენტრი უზრუნველყოფს ბავშვთა ტრანსპორტირებას ახლომდებარე საბავშვო ბაღებში, რაც ზრდის ხელმისაწვდომობას.

თავი I. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულება.

2024 წელს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 16 საბავშვო ბაღი. დღეის მდგომარეობით, ბაღები მომსახურებას უწევენ 615 აღსაზრდელს.

I.I ახალი საბავშვო ბაღები

2024 წელს მნიშნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით. კერძოდ, სოფ.წინწყაროსა(180 ბავშვზე გათვლილი) და სოფ.ფარცხისში (75 ბავშვზე გათვლილი) დასრულდა ახალი, სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისი საბავშვო ბაღების მშენებლობა, ბაღები აღიჭურვა შესაბამისი რესურსითა და ავეჯით რომელსაც ითვალისწინებს ცენტრის მიერ შერჩეული კურიკულუმი. მოეწყო როგორც გარე ისე შიდა სივრცეები, რასაც დასჭირდა დახლოებით: 239029 ლარის ოდენობის თანხა. აღნიშნულ ბაღებში უკვე, აქტიურად მიმდინარეობს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი.

დაბა მანგლისის საბავშვო ბაღის ეზოს მოწყობის სამუშაოები დაწყებულია 2024 წელს და დასრულდება 2025 წელს. პროექტის ღირებულება შეადგენს-

I.II გამოწვევები

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, ჩატარებული ექსპერტიზის შედეგების საფუძველზე ცენტრმა მიიღო გადაწყვეტილება სოფ.ასურეთის საბავშვო ბაღის დაკეტვასთან დაკავშირებით, რის შემდგომაც აღსაზრდელების გადანაწილება მოხდა ახლომდებარე საბავშვო ბაღებში, კერძოდ სოფ.ჯორჯიაშვილისა და სოფ.ფარცხისის საბავშვო ბაღებში.

I.III HACCP- სისტემის დანერგვა.

2024 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა HACCP (საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების) სტანდარტით გათვალისწინებული პროგრამის განხორციელება დაინერგა და ამოქმედდა ყველა საბავშო ბაღში . ასევე თითქმის შესრულდა და გამოსწორდა სურსათის უვნებლობის რეკომენდაციები. მიმდინარეობს HACCP-ის პროგრამის ფარგლებში ინფრასტრუქტურული ხარვეზების გამოსწორება და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის დანერგვა. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობს HACCP-ის სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უზრუნველყო 2024 წელს ტრენინგების ჩატარება თემაზე „საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების, HACCP-ის პრინციპებზე დაყრდნობილი პრინციპები„ რომელსაც ესწრებოდნენ 16 საბავშვო ბაღის მენეჯერები, მზარეულები, მზარეულის დამხმარეები და ექთნები.

I.IV ავტორიზაცია

2024 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენრტის მიერ, მთელი ქვეყნის მაშტაბით ჩატარდა სიმულაციური ავტორიზაციის პროცესი, რომელშიც მონაწილეობა მიიღი ა(ა)იპ'თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად ადუცველთა დახმარების ცენტრი"-ს თეთრიწყაროს N2 საბავშვო ბაღმა. სიმულაციური ავტორიზაციის ფარგლებში ბაღს ეწვია ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც ადგილზე შეისწავლა და შეაფასა ყველა ის კომპონენტი რომელიც ავტორიზაციის მინიჭების პროცესში იქნება განმსაზღვრელი და შემდგომში ცენტრს დასკვნის სახით მოაწოდა შესაბამისი დოკუმენტი. პარალელურ რეჟიმში ცენტრის სპეციალისტები შესაბამისი მიმართულებებით ესწრებიან ტრენინგებს და მუშაობენ ავტორიზაციისთვის საჭირო აუცილებელ, მეთოდოლოგიურ და მარეგულირებელ დოკუმენტებზე.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლს იწყება ავტორიზაციის პროცესები და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი აღნიშნულ პროცესს გაივლის წლის პირველ კვარტალში. ავტორიზაციისთვის შეირჩა შემდეგი ოთხი ბაღი: სოფ.ფარცხისის საბავშვო ბაღი, სოფ.წინწყაროს საბავშვო ბაღი, სოფ.სამღერეთის საბავაშვო ბაღი და სო.ჯორჯიაშვილის საბავშვო ბაღი. აღნიშნულ ბაღებში, სიმულაციური ავტორიზაციის გავლის შემდგომ მიღებული გამოცდილებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, ინტენსიურად მიმდინარეობს მოსამზადებელი ღონისძიებები, როგორც თავად საბავშვო ბაღების ისე ცენტრის ჩართულობით.

I.V კურიკულუმი და მეთოდოლოგია

საგანმანათლებლო პროცესი, ცენტრის დაწესებულებებში მიმდინარეობს ეროვნული კურიკულუმი - თამაშის პრინციპების გათვალისწინებით, ცენტრმა საგანმანათლებლო კოორდინატორთა სხდომაზე შეარჩია პროგრამა კურიკულუმი, რომელიც ემსახურება ბავშვის განვითარების სტანდარტზე გასვლას.

თავისმხრივ, კურიკულუმი დაწესებულებას გარკვეულ მოთხოვნებს უწესებს, ფიზიკური სივრცისა და კურიკულუმის მიზნების განხორციელებისთვის შესაბამისად გადამზადებულ პერსონალს, ამის გათვალისწინებით ბაღები აწყობენ როგორც შიდა ისე გარე სივრცეებს.

ცენტრმა მოიკვლია წლის დასაწყისში საგანმანათლებლო პესრსონალის საჭიროებები, რის საფუძველზეც განსაზღვრა ფინანსური რესურსი, პერსონალის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

2024 წლის დასწყისში კურიკულუმის შესაბამისად გაიცა რეკომენდაციები საგანმანათლებლო სივრცეების დაყოფაზე და წლის ბოლოს უკვე საგანმანათლებლო სივრცეები დაყოფილია შესაბამის თემატურ ცენტრებად, რაც ხელს უწყობს ორგანიზებულ, ბავშვის ინტერესზე მორგებულ სივრცის შექმნას, ცენტრში შემავალ თქვსმეტივე დაწესებულებას ქოუჩინგს უწევს საგანმანათლებლო პერსონალი, რომელიც თავისმხრივ ანგარიშვალდებულია მიმართულების ხელმძღვანელთან.

საგანმანათლებლო რესურსის, კურიკულუმის შერჩევის, დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი დოკუმენტები შემუშავებულია და პროცესის ეტაპების გავლის შემდეგ დამტკიცდება ცენტრის დირექტორის მიერ, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულებების მდგრად ფუნქციონირებას და პროცესის ხრისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფას.

ყოველწლიურ ბიუჯეტში გამოყოფილია სათამაშოების, საკანცელარიო ნივთების და თემატური სახელმძღვანელოებისთვის თანხა, რომელიც წლიდან წლამდე მზარდია და უზრუნველყოფს დაწესებულებების რესურსით უწყვეტ მომარაგებას, ასევე ყოველწლიურ ბიუჯეტში გამოყოფილია პროფესიული განვითარების ტრენინგებისთვის ბიუჯეტი.

ამ ეტაპზე ცენტრის ყველა საგანმანათლებლო პერსონალს გავლილი აქვს სავალდებულო, საბაზისო ტრენინგები, რაც საშუალებას გვაძლევს მომდევნო ეტაპზე მათი ინტერესების და საჭიროებების სხვადასხვა მიმართულებების მხარდაჭერას.

წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს მეთოდისტების კუტარორობით აქტივობები რომლებსაც ითვალისწინებს კურიკულუმი.

I.VI სანიტარია და ჰიგიენა

ცენტრი, საბავშვო ბაღების მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს საბავშვო ბაღების სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით მომარაგებას წელიწადში 2-ჯერ, შესაბამისად 2024 წელსაც ანალოგიურად შევიდა რესურსი საბავშვო ბაღებში და 3-ჯერ ჩატარდა 16 საბავშვო ბაღში დეზინფექცია-დეზინსექცია-დერატიზაცია.

ცენტრი უზრუნვეყოფს სასმელი წყლის კვლევას, ანალიზები ტარდება წელიწადში ორჯერ, შესაბამისად 2024 წლსაც განხორციელდა ანალოგიურად, მიღებული შედეგების შესაბამისად ცენტრი უზრუნველყობს დაწესებულებების სასმელი წყლით მომარაგებას. ანალიზებმა აჩვენა, რომ სასმელი წყალი ვარგისია მხოლოდ 6 დაწესებულებაში (მანგლისის, ხაიშის, გოლთეთის, თეთრიწყაროს N2 და N1 საბავშვო ბაღები, სოციალურად დაუცველთა სასადილო) ხოლო დანარჩენ დაწესებულებაში წყალი არ არის სასმელად გამოსადეგი (ბორბალოს, ვაშლოვანის, კოდას, ჯორჯიაშვილის, ფარცხისის, მარაბდას, წინწყაროს, ჭივჭავის, ირაგის, სამღერეთის და ხაიშის საბავშვო ბაღები)

I.VII კვება

2024 წლიდან საბავშვო ბაღებში ვიხელმძღვანელეთ 2023 წლის 5 დეკემბრის მენიუთი, რომელიც დამტკიცებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მიერ. I ნახევრის (I-VII) კვების ხარჯი (ხელშეკრულებით) შედგენდა 277498 ლარს.

გათვალისწინებული იყო 550 აღსაზრდელზე . ამა წლის II ნახევრის (IX-XII) კვებაზე გათვალისწინებულია (ხელშეკრულებით) 167019 ლარი 600 აღსაზრდელზე.

ერთ ბავშვზე კვება შეადგენს 4.07 ლარს ვინაიდან ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მიხედვით რეგლამენტი 4.4 კომპონენტის თანახმად საბავშვო ბაღებს ავალდებულებს რომ შემუშავებული იყოს სეზონური მენიუები, ამიტომ ვისარგებლეთ კვალიფიკაციის მქონე ნუტრიციოლოგის მომსახურებით , რაშიც გდახდილ იქნა 5000 ლარი.

თავი II. სოციალურად დაუცველთა სასადილოს სამსახური

II.I მიმართულება

ქ. თეთრიწყაროში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების გამცემი კომისიის დასკვნის საფუძველზე ირიცხებიან სამსახურის რეესტრში, ყოველდღიურად (შაბათ - კვირის და უქმე დღეების ჩათვლით) უზრუნველყოფილები არიან ცხელი სადილით, შედგენილი შესაბამისი მენიუს თანახმად, რომელსაც ამტკიცებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი. სამსახურის რეესტრში ირიცხებიან მარტოხელა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათთან ყოველდღიურად ბინაზე ხდება სადილის გატანა მიმტანი თანამშრომლების მიერ. შექმნილია სამუშაო ორი ჯგუფი, რომლებიც დაკომპლექტებული არიან საშტატო თანამშრომლებით.

სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე 2024 წლის იანვრის თვეში ქალაქში ირიცხებოდა 105 ბენეფიციარი-55 ოჯახი, ხოლო დეკემბერში ირიცხება 112 ბენეფიციარი- 55 ოჯახი. ხოლო ადმინისტრაციულ ერთეულებში 2024 წლის იანვრის თვეში ირიცხებოდა 96 ოჯახი- 419 ბენეფიციარი. დეკემბრის თვეში 118 ოჯახი- 489 ბენეფიციარი.

II.II მიმართულება

ასევე ამ სამსახურს გააჩნია მეორე მიმართულება, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა (რომელთა რეესტრში ჩარიცხვა ხდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების გამცემი კომისიის დასკვნის საფუძველზე) ნატურალური საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა ყოველი თვის 20 რიცხვიდან თვის ბოლომდე. პროდუქტების რაოდენობა გადაანგარიშებულია ოჯახის წევრებიდან გამომდინარე და დამტკიცებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მიერ. შინაგანაწესის თანახმად წელიწადში ორჯერ აღდგომის დღესასწაულზე თითოეულ ოჯახს გადაეცემა 10 კვერცხი და 800 გრ. პასკა და საახალწლოდ ორი კილოგრამი მანდარინი და ერთი კილოგრამი შოკოლადის კანფეტი. სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე 2024 წლის იანვრის თვეში ირიცხებოდა 419 ბენეფიციარი, ხოლო დეკემბერში ირიცხება 489 ბენეფიციარის 118 ოჯახი.

თავი III სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ დასაქმებულთა შესახებ ინფორმაცია.

ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ ადმისიტრაციაში, ცენტრში შემავალ საბავშვო ბაღებსა და სოციალურად დაუცველთა სასადილოში, სადაც მარტოხელა უმწეო ბენეფიციარებს აწვდიან ბინაზე ცხელ საკვებს - 2024 წელს დავიწყეთ 65 ბენეფიციარით , რომელიც მორგებულია ჩვენს სტრუქტურას.

წლის განმავლობაში 6 ბენეფიციარი გადავიყვანეთ შტატით საბავშო ბაღებში. 2 ბენეფიციარი თვითდასაქმდა. ეს პროგრამა, ჩვენს სამსახურს დაგვეხმარა რიგი პრობლემების მოგვარებაში, საბავშვო ბაღებში აღნიშნული კადრები დახმარებას უწევენ ბაღის პერსონალს საჭიროებისამებრ.

მომავალი წლისთვის ასევე ვგეგმავთ ამ პროგრამით დასაქმებული ბენეფიციარების შტატით აყვანას.

თავი. IV ბავშვთა ადრეული განვითარების ინტერვენციის პროგრამა

2024 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა ადრეული განვითარების პროგრამის მომწოდებლად რეგისტრაციის მიმართულებით 20 ბენეფიციარისათვის.

თავდაპირველად, შეირჩა ფართი (ჯგუფური შეხვედრების სივრცე) სოფელი ფარცხისის საბავშვო ბაღში. დაიწყო დოკუმენტაციის მომზადების პროცესი დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში წარსადგენად და პარალელურად ა.ა.ი.პ „სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“ მონაწილეობდა CENN-ის (CENN-განვითარების რეგიონული ორგანიზაცია) საგრანტო კონკურსში LAG-თან (თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფი) ერთად, ადრეული განვითარების პროგრამის განსავითარებლად საჭირო ფინანსური რესურსის მოძიების მიზნით, სადაც მოვიპოვეთ გრანტი.

გრანტის პირობებში აღიჭურვა ჯგუფური შეხვედრების სივრცე ავეჯით, ტექნიკით, სათამაშოებით, გადამზადდა ინტერვენციონისტი ქცევის გამოყენებითი ანალიზის საბაზისო კურსში და ამჟამად ერთი პირი გადის გადამზადებას ბავშვთა ადრეული განვითარების ინტერვენციის პრინციპებსა და განხორციელებაში.

ამავე პროექტის ფარგლებში ადრეული განვითრების პროგრამის განვითარებისა და თითოეული ბავშვის საჭიროებების იდენტიფიციერების მიზნით საბავშო ბაღების 100-მდე თანამშრომელი გადამზადდა სკრინინგ-ინსტრუმენტების ((ASQ-3, ASQ-SE) გამოყენებაში და კონსულტირება გაეწია 80-

მდე მშობელს ადრეული განვითარების პროგრამის შინაარსის, სარგებლისა და საჭიროებისამებრ, ბავშვის ჩართვის პროცედურული ნაწილის შესახებ.

ამჟამად, გაგზავნილია განაცხადი დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ადრეული განვითარების პროგრამის მოწოდებლად რეგისტრირების თაობაზე და ველოდებით უკუკავშირს.

2024 წელს დაიწყო მნიშვნელოვანი პროცესი ადაპტირებული ტრანსპორტის შეძენასთან დაკავშირებით, გამოცხადდა ტენდერი და მომწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ 2025 წელს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებს უკვე მოემსახურება შესაბამისი ტრანსპორტი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

პატივისცემით

ა(ა)იპ" თეთრიწყაროს სკოლამდელი
აღზრდა-განათლებისა
და სოციალურად დაუცველთა
დახმარების ცენტრი"-ს

დირექტორი /ფ.მეშველიანი/

230869539